წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 28

ქ. წალკა; 07.11.2022 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიადი გელაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა-წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:25 საათზე;

დღის წესრიგი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინიციატივა, წალკის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სახელწოდების არმქონე ქუჩების (არაბული ციფრების გამოყენებით) სახელდების განხორციელების შესახებ.

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინიციატივა, წალკის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სახელწოდების

არმქონე ქუჩების (არაბული ციფრების გამოყენებით) სახელდების განხორციელების შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას უზრუნველყოს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით კომისიის წევრების შეხვედრების გამართვა, რის შემდეგაც საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების პროექტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*